წინამდებარე ფორმა გამოიყენება NVU-ის პროგრამის მოსამზადებლად. შევსებული ფორმა დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის საბჭოს. ცისფრად მონიშნული გრაფები მიუთითებს NVU-ის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე და არ ივსება (თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული); ყვითლად მონიშნული გრაფების შევსება ნებაყოფლობითია.

1. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის დასახელება:	**სამართალი**		
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ძირითადი სპეციალობის მიხედვით):	**სამართლის ბაკალავრი**		
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	**240**	საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონე (VI, VII ან VIII)	**VI**
არსებული კონცენტრაციები:	**კერძო სამართალი, საჯარო სამართალი ან მათი ნებისმიერი კომბინაცია** (მაგალითად: კერძო სამართალი ადმინისტრაციული სამართლის ან სისხლის სამართალი საერთაშორისო სამართლის ელემენტებით)		
პასუხისმგებელი სკოლა/სკოლები:	**სამართლის სკოლა**		
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:	**გაგა გაბრიჩიძე, დავით კერესელიძე**		
სწავლების ენა	**ქართული**		
„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:	**სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი; ერთიანი ეროვნული გამოცდები**	სხვა:	**არ არსებობს**

დამატებითი სპეციალობა:	არა	დისტანციური სწავლება	არა	გაცვლითი სტუდენტების თვის ხელმი-საწვდომობა	არა	სამუშაო გამოცდილება/ დასაქმება:	არა
ხელმისაწვდომობა თავისუფა–ლი მსმენელების–თვის:	არა	წინასწარი რეგისტრაციის მოთხოვნა	დიახ	სხვა	არა	სხვა	არა

სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა:	**ნაკადში 36 სტუდენტი**	შეცვლილი პროგრამა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):	**არ არსებობს**
სავარაუდო განხორციელების თარიღი:	**01.09.2014**	შეთავაზების თარიღი:	**18.11.2013**

2. მიზნები და სწავლის შედეგები

მიზნები:	პროგრამის მიზანია ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოება სამართლის მნიშვნელობის გაცნობიერებით, შედარებითსამართლებრივი კვლევებით, საერთაშორისოსამართლებრივი მიღწევებით, პროფესიული უნარების განვითარებითა და სამართლიანობაზე დაფუძნებული ღირებულებათა ფორმირების ხელშეწყობით. კერძო, საჯარო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის კომპეტენციების გამომუშავება უზრუნველყოფს საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობას ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ცალკეულ პროფესიაში „შესვლის“ წინაპირობა შესაძლებელია იყოს სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდა.
ზოგადი სწავლის შედეგები:	სტუდენტს აქვს სფეროს ფართო ცოდნა, კომპლექსური საკითხების კრიტიკული ანალიზის, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული მეთოდების გამოყენების, ინფორმაციის მოძიების, არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების, საკუთარი სწავლის პროცესის შეფასების, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენისა და ღირებულებათა სისტემაზე დაფუძნებული ქცევისა და აზროვნების უნარი.
დარგობრივი სწავლის შედეგები:	***ცოდნა და გაცნობიერება:*** აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო სპეციალიზაციის სფეროს (საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართალი) სიღრმისეული ცოდნა. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის. კურსდამთავრებულმა იცის: კონსტიტუციური ღირებულებები, სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები; ნორმის განმარტების მეთოდები; კერძო სამართლის სისტემური ცნებები; სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; სანივთო სამართალი; შრომის სამართალი; საკორპორაციო სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები; დანაშაულის არსი, სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება; დავების განხილვის ალტერნატიული საშუალებები; ქართული და რომის სამართლის ისტორიული წყაროები, მათი ევოლუცია სამართლის ცალკეულ დარგებთან მიმართებით. ***ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:*** აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიების, სამართლებრივი არგუმენტაციისა და დასაბუთების, ხელშეკრულებებისა და სხვა იურიდიული დოკუმენტების

	შედგენის, უფლების წარმოშობასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურებისა და საპროცესო მოქმედებების შესრულების უნარი. *დასკვნის უნარი:* აქვს ფართო თვალსაწიერი, სამართლებრივი პრობლემის კომპლექსური ხედვა, მათი ანალიზის საფუძველზე ინდივიდუალური გადაჭრის გზების დასაბუთების უნარი. *კომუნიკაციის უნარი:* აქვს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მშობლიურ და ინგლისურ ენებზე მოძიების, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ინფორმაციის ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი. *სწავლის უნარი:* აქვს სამართლის პირველად და მეორად წყაროებთან მიმართებით საკუთარი ცოდნის მუდმივი გაღრმავების, მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებისა და თვითგანვითარების უნარი. *ღირებულებები:* გათავისებული აქვს პროფესიული ეთიკის ფარგლები; მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

სხვა ან დეტალურად:

მიუთითეთ, ყველაზე მეტად რომელი უნარების განვითარებას ემსახურება პროგრამა, შეარჩიეთ მინიმუმ 5 (მაქსიმუმ 10) ქვემოთ მოცემული ჩამონათვალიდან.

ანალიტიკური უნარები	√	ლიდერობა	
კომერციული აზროვნება		დაგეგმვა და ორგანიზება	
თავდაჯერებულობა	√	პროფესიონალიზმი	√
პრობლემების გადაჭრისადმი კრეატიული მიდგომა	√	კვლევის უნარი	
კრიტიკული აზროვნება	√	თვითრეალიზაცია	√
ეთიკური ნორმების გაცნობიერება	√	სოციალური და კულტურული მრავალფეროვნების აღქმა	
მოქნილობა		გუნდური მუშაობა	√
დამოუკიდებელი მუშაობა	√	დროის მენეჯმენტი	

ინიციატივა		ინტერპერსონალური უნარები	
სწავლის უნარი	√	სწავლების უნარი	

3. მოდულიზებული კომპონენტები სწავლის შედეგების ჭრილში

კოდი (პროგრამა–მოდული–კომპონენტი)	მოდულები და კომპონენტები:	სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი)	ECTS (სემესტრის შეთავაზება სტუდენ-ტის პროფილისთვის)	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
B01	**კერძო სამართალი**								
B0101	**შესავალი კერძო სამართალში** [კაზუსების განხილვის სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (I)	√	√	√			√
B0102	**ვალდებულებითი სამართალი** [კაზუსების განხილვის სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (II)	√	√	√			
B0103	**სანივთო სამართალი** [უფლებების წარმოშობაზე სამუშაო ჯგუფით, მათ შორის რეგისტრაცია]	ს	6 (II)	√	√	√	√		√
B0104	**სახელშეკრულებო სამართალი** [ხელშეკრულებების ფორმირების სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (III)	√	√	√	√		√
B0105	**კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები** [კლინიკური უნარების სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (IV)	√	√	√	√		

B0106	**შრომის სამართალი** [კლინიკური უნარების სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (V)	√	√	√	√		
B0107	**საკორპორაციო სამართალი** [უფლებების რეგისტრაციის და კლინიკური უნარების სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (V)	√	√	√	√		
B0108	**რეპეტიტორიუმი კერძო სამართალში**	ს	12 (VIII)	√	√	√		√	
B0109	**მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი**	ა	6 (VI-VII)	√	√	√			√
B0110	**საერთაშორისო კერძო სამართალი**	ა	6 (VI-VII)	√	√				
B0111	**საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი**	ა	6 (V-VII)	√	√	√			√
B0112	**ფასიანი ქაღალდების სამართალი**	ა	6 (VI-VII)	√	√				
B0113	**სადაზღვევო სამართალი**	ა	6 (VI-VII)	√	√				
B0114	**მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი**	ა	6 (V-VII)	√	√	√			
B0115	**ინტელექტუალური საკუთრების სამართალი**	ა	6 (V-VII)	√	√	√	√		√
B0116	**გაკოტრების სამართალი**	ა	6 (VI-VII)	√	√				

B0117	**უნიფიცირებული დელიქტური სამართალი**	ა	6 (VI-VII	√	√	√	√		
B0118	**ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა**	ა	6 (VI-VII	√	√	√	√		√
B02	**საჯარო სამართალი**								
B0201	**შესავალი კონსტიტუციურ ღირებულებებში** [კვლევითი უნარების სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (I)	√	√	√			√
B0202	**სახელმწიფო მოწყობის სამართალი** [კვლევითი და პრეზენტაციის უნარების სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (II)	√	√	√	√		√
B0203	**ადამიანის უფლებები** [კაზუსების განხილვის სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (III)	√	√	√			√
B0204	**ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი** [კლინიკური უნარების სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (IV)	√	√	√			
B0205	**საერთაშორისო სამართალი**	ს	6 (V)	√	√	√			
B0206	**რეპეტიტორიუმი საჯარო სამართალში**	ს	10 (VIII)	√	√	√		√	
B0207	**ევროპის სამართალი**	ა	6 (VI-VII)	√	√		√		
B0208	**შედარებითი კონკურენციის სამართალი**	ა	6 (VI-VII)	√	√	√	√		

B0209	**საგადასახადო სამართალი**	ა	6 (VI-VII)	√	√	√			
B0210	**სამოხელეო სამართალი**	ა	6 (VI-VII)	√	√		√		
B0211	**ჯანდაცვის სამართალი**	ა	6 (VI-VII)	√	√				
B0212	**განათლების სამართალი**	ა	6 (VI-VII)	√	√	√			
B0213	**მედია სამართალი**	ა	6 (VI-VII)	√	√	√	√	√	√
B0214	**სახელმწიფო შესყიდვების სამართალი**	ა	6 (VI-VII)	√	√		√		
B0215	**ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი**	ა	6 (VI-VII)	√	√	√			
B0216	**საერთაშორისო საზღვაო სამართალი**	ა	6 (VI-VII)	√	√				
B03	**სისხლის სამართალი**								
B0301	**სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი** [კაზუსების განხილვის სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (II)	√	√	√	√		√
B0302	**ადამიანის (პიროვნების) წინააღმდეგ მიმართული დანაშაული** [კლინიკური უნარების სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (III)	√	√	√	√		√
B0303	**ქონებრივი და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაული** [კლინიკური უნარების სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (IV)	√	√	√	√		√
B0304	**რეპეტიტორიუმი სისხლის სამართალში**	ს	8 (VIII)	√	√	√		√	

B04	სამართლის მეთოდები და პროცესი								
B0401	**შესავალი იურიდიულ საქმიანობაში** [კვლევითი უნარების სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (I)	√	√	√	√	√	√
B0402	**სამართლებრივი დასაბუთება და არგუმენტაცია** [პრეზენტაციის უნარების სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (I)	√	√	√	√		√
B0403	**ქართული სამართლის ისტორიული წყაროები** [კვლევის მეთოდების სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (I)	√	√	√		√	√
B0404	**სამოქალაქო სამართლის პროცესი** [საპროცესო უნარების სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (IV)	√	√	√	√		√
B0405	**ადმინისტრაციული სამართალწარმოება** [კლინიკური უნარების სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (V)	√	√	√	√		
B0406	**სისხლის სამართლის პროცესი** [საპროცესო უნარების სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (VI)	√	√	√	√		√
B0407	**დავების განხილვის ალტერნატიული საშუალებები** [კლინიკური უნარების სამუშაო ჯგუფით]	ს	6 (VI)	√	√	√	√	√	√
B0408	**იურიდიული კლინიკა**	ს	12 (VII)		√	√	√	√	√
B0409	**ჩვეულებითი სამართალი**	ა	6 (V-VII)	√	√	√		√	√
B0410	**სამოქალაქო სასამართლო სამართალწარმოება**	ა	6 (V-VII)	√	√	√			

B0411	ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში	ა	6 (VII)	√	√	√			
B04112	შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი	ა	6 (VII)	√	√	√			
B0413	სამართალწარმოების მეთოდიკა სისხლის სამართალში	ა	6 (V-VII)	√	√	√			
B0414	ადვოკატის ეთიკა	ა	6 (V-VII)	√	√	√	√	√	√
B0415	პროფესიული ეთიკა	ს	6 (V-VII)	√	√	√	√	√	√
B05/BIT/ BA/IT	**უცხოურ ენაზე კომუნიკაციისა და დარგობრივი კომპეტენციები**								
B0501	ინგლისური ენა 1	ა	3 (I)	√			√		
B0502	ინგლისური ენა 2	ა	3 (I-II)	√			√		
B0503	ინგლისური ენა 3	ა	3 (I-III)	√			√		
B0504	ინგლისური ენა 4	ს	3 (I-IV)	√			√		
B0505	იურიდიული ინგლისური	ს	6 (II-V)	√	√		√	√	
B0506	ეფექტური კომუნიკაცია	ა	6 (II-VI)						

შენიშვნა:

- სტუდენტმა მინიმუმ ორი საგანი უნდა ჩააბაროს ინგლისურ ენაზე.
- პროგრამიტ გათვალისწინებული კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის რეპტიტორიუმებიდან სტუდენტი ვალდებულია ჩააბაროს მხოლოდ 2.
- სტუდენტის სურვილის შესაბამისად, ამ პროგრამის არჩევითი კომპონენტების ნაცვლად, დასაშვებია კრედიტების სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან დაგროვება 30 კრედიტის ფარგლებში.

4. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და შეფასება:

კავშირი გამოყენებულ მეთოდებსა და სწავლის შედეგების მიღწევას შორის:

სტუდენტი ინდივიდუალური პროფილის ფორმირებას ახორციელებს სამართლის განსხვავებული სპეციალიზაციის საგნების კონცენტრაციით. პროგრამით გამოკვეთილია თეორიული კომპონენტების პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება, ასევე სტუდენტის ინტეგრირება პროფესიულ გარემოსა და კვლევით საქმიანობაში. სავალდებულო კომპონენტები ითვალსწინებს სხვადასხვა პრაქტიკული და კვლევითი უნარის განვითარებაზე ორიენტირებულ სამუშაო ჯგუფებს. იურიდიული კლინიკები უზრუნველყოფს სამართლებრივი საკითხების ფართო სპექტრში ორიენტაციისა და საზოგადოებაში გავრცელებული პრობლემების მოგვარების ქმედითი გზების შერჩევის სწავლებას. სტუდენტი „სწავლობს კეთებით“. გათვალისწინებულია ინტეგრირებული სწავლების კომპონენტები, რაც სამართლის ინსტიტუტების ისტორიული განვითარების გააზრებისა და სხვადასხვა დისციპლინაში განსახილველი საკითხების ურთიერთკავშირის გამოკვეთის საშუალებას იძლევა. პროგრამის კომპონენტები ავსებს ერთმანეთს. დომინირებს სამართლის ინსტიტუტების შედარებითსამართლებრივი სწავლების მეთოდი. გამოიყენება რეპეტიტორიუმის (კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის) მეშვეობით პროფესიაში შესვლის გაადვილების მექანიზმები, რომლებშიც ინტეგრირებულია საერთაშორისო სამართლის ელემენტები.

შეფასების სისტემა

ქულათა რაოდენობა	შეფასება (მოკლე აღწერილობა)	წარმატებული სტუდენტების შედეგების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი (შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეფასების ადეკვატურობის მონიტორინგის მიზნით)
91-100	A (ფრიადი)	საუკეთესო – 10%
81-90	B (ძალიან კარგი)	საშუალოზე მაღალი – 25 %
71-80	C (კარგი)	საშუალო – 30 %
61-70	D (დამაკმაყოფილებელი)	საშუალოსთან მიახლოებული – 25%
51-60	E (საკმარისი)	ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – 10%
41-50	FX (ვერ ჩააბარა, ეძლევა გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება)	
0-40	F (ჩაიჭრა)	

5. რესურსები

პროგრამის განსახორციელებალად აუცილებელი რესურსები:

სახელწოდება:	აღწერილობა:
ლიტერატურა	ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო რესურსები (ელექტრონული ლიტერატურის ჩათვლით)

შენიშვნები:
(ეს გრაფა გამოიყენეთ დამატებითი შენიშვნებისთვის.)

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 16 ნოემბრის №7 ოქმით.